საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №24

2017 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის №02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური ნორმატივებისა და მათი ჩაბარების წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 9 იანვრის №02 ბრძანებაში (ვებგვერდი, 11/01/2017, სარეგისტრაციო კოდი: 120170050.22.026.016454) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის:

1. მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამინისტროს სისტემაში, გარდა სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიისა (შემდგომში – აკადემია), ფიზიკური ნორმატივების ჩაბარების პერიოდულობა განისაზღვრება წელიწადში არანაკლებ ორჯერ (ოქტომბერი-ნოემბერი და აპრილი-მაისი).“.

2. მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2^1. იუნკერთათვის ფიზიკური ნორმატივების ჩაბარების პერიოდულობა განისაზღვრება აკადემიის რექტორის მიერ წელიწადში არანაკლებ ორჯერ (სასწავლო სემესტრის მიხედვით).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**